საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თამარ ღვამიჩავა

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

| |
|---|
| კენჭისყრა - 30.05.2024 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიზო უბილავას კანდიდატურა? |
| დიახ  არა |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის **გიზო უბილავას** წარდგინების შეფასება/დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **გიზო უბილავა** არის მოქმედი მოსამართლე, ორგანული კანონის $34^{1}$-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შეფასდა - კანონის $35^{1}$ე მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით.
ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე- პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიზო უბილავას** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **91** ქულას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2024 წლის 30 მაისს ჩაატარდა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა **გიზო უბილავას** კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე **გიზო უბილავას** კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.

თამარ ღვამიჩავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 30.05.2024 წ.